განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ხელოვნების მენეჯმენტი

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 24-25 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851028
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის მაგისტრი (ხელოვნების მენეჯმენტში) - 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ღაღანიძე, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბი ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ცირამუა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ხელოვნების მენეჯმენტის სფეროში. პროგრამა გამიზნულია დარგის თანამედროვე ცოდნით აღჭურვის საფუძველზე მოამზადოს სახელოვნებო ორგანიზაციების მენეჯერი, რომელსაც ექნება მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა, სწავლების საფეხურიდან და მიზნებიდან გამომდინარე, შედგენილია სასწავლო და კვლევითი კომპონენტების კომბინაციით. სულ -120 კრედიტი, აქედან 35 კრედიტი - კვლევითი, 85 კრედიტი სასწავლო. სამაგისტრო პროგრამა შედგება 3 მოდულისაგან: მოდული I - ბიზნეს ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა; მოდული II - ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტი; მოდული III - ზოგადსაუნივერსიტეტო მოდული. პროგრამის მეთოდოლოგია სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას გულისხმობს. პრიორიტეტი ენიჭება ინტენსიურ სალექციო და სასემინარო სწავლებასა და დამოუკიდებელ მუშაობას. პროგრამაში შემავალი თითოეული კომპონენტის (მოდული/კურსი და სხვ.) განხორციელება ხდება შესაბამისი კომპეტენციებისა და პროფესიონალიზმის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენციები უნივერსიტეტში დგინდება აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია, აგრეთვე, სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების საკითხების ათვისება ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს: მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, შუალედური შეფასებას და ფინალური გამოცდის შეფასებას. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდეს სამხატვრო გალერეებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, მუზეუმებში, ხელოვნების აუქციონებზე, ხელოვნების ნიმუშების დაცვის, ან შეფასების საკითხებზე მომუშავე სხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში ან შექმნას საკუთარი საქმე, პორტფოლიო და დაიწყოს საკუთარი ბიზნესი სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულებებით. საანგარიშო პერიოდში პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა იყო 6, აქედან სწავლების შემდეგ საფეხურზე სწავლა გააგრძელა 1 სტუდენტმა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 24-25 სექტემბერს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტის და უშუალოდ, პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 1.2. კომპონენტი კი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველის სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.2 და 2.3 კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.1, 2.4 და 2.5 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობასია მოთხოვნებთან, ხოლო 2.6 კომპონენეტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-3 და მე-4 სტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1, 3.2, 4.1 და 4.2 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.3 და 4.4 კომპონენეტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უცხო ენის კომპონენტად განისაზღვროს მხოლოდ ინგლისური ენა;
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსების ,,კულტურის მენეჯმენტი“, პედაგოგიკა 1 და 2 წინაპირობების დაზუსტება;
3. რეკომენდებულია დამოუკიდებელი სილაბუსის სახით გაიწეროს პროგრამის სტრუქტურაში მოცემული ,,საჩვენებელი ლექცია პრეზენტაცია“, რომელიც გათვლილია 10 კრედიტზე;
4. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო დისიპლინების მოდული გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტის, ლოჯისტიკის მენეჯმენტის და HR სტრატეგიების სასაწვლო კურსებით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების უკეთ მიღწევას;
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსები პედაგოგიკა I და II ჩამოყალიბდეს ერთ სასწავლო კურსად;
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: სტრატეგიული მენეჯმენტი და კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციათა მენეჯმენტი განხორციელდეს სწავლის შედეგების მორგება სასწავლო კურსების შინაარსთან;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსების: ბიზნესის ადმინისტრირება, პროექტებისა და პროგრამების მართვა, მარკეტინგი კულტურაში და კომუნიკაცია და ფინანსური მენეჯმენტი მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი გაიმიჯნოს საბაკალავრო საფეხურის ანალოგიური შინაარსის კურსებისაგან, ასევე განახლდეს მოცემულ კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურით;
8. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,საგანმანთლებლო კანონმდებლობა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც ,,კულტურის სფეროს და კულტურის ძეგლების სამართლებრივი რეგულირება“ მოხდეს მისი შინაარსის მორგება ახალ დასახელებასთან;
9. რეკომენდებულია აქტიურად იყოს გამოყენებული დაწესებულების შიდა რესურსი და გამყარდეს ფაკულტეტებს შორის ინტეგრაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში;
10. რეკომენდებულია სწავლება/სწავლის მეთოდოლოოგიის გამრავალფეროვნება და მისი მეტი ადაპტირება სასწავლო კურსებთან;
11. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შინაარსთან ბმაში მყოფი დარგის ექსპერტების მოწვევა საჯარო ლექციების ვორქშოპების და ტრენინგების ჩატარების მიზნით;
12. რეკომენდებულია ინტერაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
13. რეკომენდებულია მკაცრად იქნეს გაკონტროლებული სამაგისტრო ნაშრომებში ვიკიპედიის წყაროების გამოყენების შემთხვევები;

14. რეკომენდებულია დაწესებულებამ გრელვადიან პერიოდში კიდევ უფრო გაზარდოს მენეჯმენტის მიმართულების აფილირებული პერსონალის რაოდენობა;
15. რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის პროცესების გააქტიურება;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაში დაკონკრეტდეს სამაგისტრო პროგრამაზე ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე პირის დაშვების საკითხი;
  - სასურველია გადაიხედოს სტუდენტებთან კომუნიკაციის არხები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შიდა ეფექტური კომუნიკაცია, მათ შორის, დაიხვეწოს დაწესებულების ვებ-გვერდის ინტერფეისი;
  - სასურველია სტუდენტებმა თავად დაგეგმონ საკუთარი სასწავლო ცხრილი;
  - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსადმთავრებულების კარიერული განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების გააქტიურება, თუნდაც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნის მეშვეობით;
  - სასურველია უნივერსიტეტმა სტუდენტებს შესთავაზოს სტუდენტური პროექტების/იდეების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდება შერჩეული პროექტების დაფინანსება;
  - სასურველია დაწესებულებამ შექმნას კორპორატიული ელექტრონული ფოსტის ანგარიშები. აღნიშნული გაამარტივებს ელექტრონულ კომუნიკაციას დაწესებულების შიგნით;
  - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა შიდა ხარისხის დოკუმენტებისა და შეფასების მექანიზმების შემუშავებაში;
  - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს გამოკითხვის შედეგების და რეკომენდაციების პერმანენტულად გაცნობა გამოკითხვაში მონაწილე ჯგუფებისათვის, რათა შემდგომში გაიზარდოს მათი ჩართულობა ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგმილ შეფასების მექანიზმებში;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. დეტალურად არის გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელიც მთლიან ჩარჩოს/საზღვრებს აწესებს პროგრამისა და კონკრეტულად სილაბუსის დაგეგმვის პროცესში აკადემიური პერსონალისთვის (ე.გ. Manual). გარდა ამისა, მსგავსი დოკუმენტის არსებობა ხელს შეუწყობს ახალი აკადემიური პერსონალის ეფექტურ მუშაობას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წლის 2 აგვისტოს. განმეორებითი აკრედიტაციისას პროგრამაში გათვალისწინებული იქნა წინა აკრედიტაციის გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ: პროგრამიდან ამოღებული იქნა ინფორმატიკის კურსი და რეფერატი უცხოურ ენებზე არსებულ ლიტერატურაზე (კულტურულ ტურიზმში); ნაწილობრივ შვსებულია და განახლებულია პროგრამა უცხოურენოვანი ლიტერატურით, ამოქმედებულია სასწავლომპროცესების მართვის ელექტრონული ბაზა, უნივერსიტეტში მოქმედებს და ხელმისაწვდომია საერთაშორისო მონაცემთა ბაზები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, თანამედროვე ბიზნეს-გარემოზე, მის ცვალებად და მზარდ მოთხოვნებზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ხელოვნების მენეჯმენტის სფეროში. სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო–ტელე, ქორეოგრაფიული და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. სამაგისტრო პროგრამამ მომავალ სპეციალისტებს უნდა მისცეს საფუძვლიანი თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნა ხელოვნების მენეჯმენტის მიმართულების სხვადასხვა დისციპლინების შეთავაზების საფუძველზე, შესაბამისად პროგრამას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზანი რეალურია და მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“ ▪ უნივერსიტეტის მისია; ▪ სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულება; ▪ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სახელოვნებო სფეროს მენეჯერის პროფესიისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენაზე და ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური, ანალიტიკური უნარების ფორმირებასა და განვითარებას. პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს, რომელთა სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, შესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. მის განვითარებაში ჩართულნი არიან დაინტერესებული მხარეები (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები). პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის კომპონენტების მიხედვით მოცემულია სწავლის შედეგების რუკაზე და მათ გასაზომად პროგრამის ადმინისტრაცია ანხორციელებს სწავლის შედეგების შეფასებას (კურსდამთავრებულთა, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გამოკითხვები, პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების კონტროლი და ა.შ.) ხდება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მეთოდოლოგიის ფორმირება ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე, სადაც გათვალისწინებულია კურსის თავისებურებები. მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება, როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები. ფაკულტეტზე პერმამენტულად წარმოებს სწავლის შედეგების მონიტორინგი, სტუდენტების, დამამთავრებელი კურსის სტუდენტების, კურსადმთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვები შედეგები ხელშემწყობი ფაქტორია პროგრამის ხელმძღვანელისა და მასში ჩართული პერსონალისთვის პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად და ამის გათვალისწინებით, პროგრამის განვითარების ზრუნვის საქმეში.

შეფასების ანალიზი, ხარისხის სამსახურის შესაბამისი რეკომენდაციებით წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის გასაუმჯობესებლად ხდება სათანადო რეაგირება. ამასთან მნიშვნელოვანია დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მონაცემების პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენების პროცესები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- სასწავლო პროცესისი მარეგულიერებელი წესი;
- თეორიული კუსრების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და შეფასების წესი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამას - ხელოვნების მენეჯმენტი, განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: 1. აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდები. 2. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, აქვე დაკონკრეტებულია, რომ სასურველია კანდიდატს ჰქონდეს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ კანდიდატმა მონაწილეობა უნდა მიიღოს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაში, რომელიც ბარდება სპეციალობაში. სპეციალობის გამოცდის საკითხები, ლიტერატურა და შეფასების კრიტერიუმები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ასევე, პროგრამაში მიღების წინაპირობად განსაზღვრული აქვს ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე ცოდნა. მაგისტრანტობის კანდიდატს შეუძლია ენის კომპეტენციის დადასტურება სერთიფიკატის ან ბაკალავრის (მასთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხის) დიპლომის დანართით. ამასთან, მიგვაჩნია, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად გერმანული, ფრანგული და რუსული ენების შეთავაზება, მოითხოვს პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში შესაბამის ენებზე სავალდებულო ლიტერატურის არსებობასაც, შესაბამისად უმჯობესი იქნება სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უცხო ენაში განისაზღვროს მხოლოდ ინგლისური ენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უცხო ენის კომპონენტად განისაზღვროს მხოლოდ ინგლისური ენა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ჩარიცხვის წინაპირობაში დაკონკრეტდეს სამაგისტრო პროგრამაზე ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე პირის დაშვების საკითხი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. გარდა ამისა, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს აქვს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდები, რომლებიც გაწერილია რეგულაციებში. შესაბამისად, აღნიშნული რეგულაციების გათვალისწინებით არის შექმნილი ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, რომლის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. სამაგისტრრო პროგრამის შემუშავებასა და დაგეგმვაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვა დაინტერესებული მხარეები. კურსდამთავრებულს მაგისტრის ხარისხი ენიჭება 120 კრედიტის დაგროვების შედეგად, აქედან 35კრედიტი - სამეცნიერო, 85 კრედიტი სასწავლო. პროგრამში არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილია 15 კრედიტი. პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც სასწავლო, ასევე, კვლევითი კომპონენტები. პროგრამის სტრუქტურა შედგება ზოგადსაუნივერსიტეტო, არჩევითი, ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტის, ბიზნესის ადმინისტრირების ბლოკებისაგან. შესაბამისად, საგნების განშლა სამაგისტრო პროგრამაში აღნიშნული მიმართულებებითაა წარმოდგენილი. სამეცნიერო კომპონენტი მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა რეფერატი, საკურსო ნაშრომი, პუბლიკაცია და საკონფერენციო მოხსენების მომზადება. კომპონენტი მოიცავს , ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. სამეცნიერო კომპონენტის შესრულებას ხელმძღვანელობს პროგრამის ან სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია 4 მოდულად. მეორე მოდული - ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტი მოიცავს სულ 2 სასწავლო კურსს („კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მართვა“ და „ კულტურის მენეჯმენტი“). თითოეული სასწავლო კურსი 5 კრედიტიანია. პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებშიც არის ხელოვნებისა და კულტურის სფეროს 4 კურსი; ესენია: „კინოინდუსტრია“, „კულტურის პოლიტიკა“, „მუზეუმი და სამუზეუმო მენეჯმენტი“ და „ქართული ხელოვნების ისტორია“. არჩევითი კურსებიც 5 კრედიტიანია. ამასთან ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში კურსზე დაშვების წინაპირობა დასაზუსტებელია, კერძოდ, სასწავლო კურსის ,,კულტურის მენეჯმენტი“ წინაპირობა განსაზღვრულია შემდეგნაირად: ,,კურსის ასათვისებლად მსმენელი უნდა ფლობდეს მენეჯმენტის სხვადასხვა თემების შესახებ ფუნდამენტალურ ცოდნასა და გააჩნდეს საბაზისო ცოდნა კულტურის სფეროს დაგეგმარებისა და ისტორიის შესახებ“. პედაგოგიკა 1 და 2 სასწავლო კურსების წინაპირობაა: ,,კურსის შესწავლისათვის აუცილებელია მაგისტრანტმა იცოდეს ფსიქოლოგიის ელემენტარული კურსი, ერკვეოდეს ფსიქოლოგიის ცნებათა და ტერმინთა შინაარსში“. მნიშვნელოვანია, ასევე პროგრამის სავალდებულო დისიპლინების მოდული გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტის, ლოჯისტიკის მენეჯმენტის და HR სტრატეგიების სასაწვლო კურსებით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების უკეთ მიღწევას. ასევე რეკომენდებულია დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სილაბუსის სახით გაიწეროს პროგრამის სტრუქტურაში მოცემული ,,საჩვენებელი ლექცია პრეზენტაცია“, რომელიც გათვლილია 10 კრედიტზე. გარდა ამისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაერთიანდეს კურსები პედაგოგიკა I და II, რაც პროგრამის სტრუქტურაში გამოათავისუფლებს კრედიტების გარკვეულ მოცულობას.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე, სუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. სისტემატურად ტარდება დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, იმართება შეხვედრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“ ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია სასწავლო კურსების ,,კულტურის მენეჯმენტი“, პედაგოგიკა 1 და 2 წინაპირობების დაზუსტება; ▪ რეკომენდებულია დამოუკიდებელი სილაბუსის სახით გაიწეროს პროგრამის სტრუქტურაში მოცემული ,,საჩვენებელი ლექცია პრეზენტაცია“, რომელიც გათვლილია 10 კრედიტზე; ▪ რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო დისიპლინების მოდული გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტის, ლოჯისტიკის მენეჯმენტის და HR სტრატეგიების სასაწვლო კურსებით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების უკეთ მიღწევას; ▪ რეკომენდებულია სასწავლო კურსები პედაგოგიკა I და II ჩამოყალიბდეს ერთ სასწავლო კურსად;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე. ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტის მოდულის და არჩევითი საგნების კულტურასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. აღნიშნული მოდულის სასწავლო კურსები დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ცალკეული სასწავლო კურსების მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების საგნებში:

სტრატეგიული მენეჯმენტი - გადასახედია სწავლის შედეგები, იგი შესაბამისაობაში უნდა მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსთან. **კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციათა მენეჯმენტი** - აღნიშნულ კურსში ძირითად წყაროდ გამოყენებულია რუსულენოვანი ლიტერატურა, გადასახედია სწავლის შედეგები, კერძოდ მოსაყვანია შესაბამისობაში სასწავლო კურსის შინაარსთან. მაგალითად, სწავლის შედეგი ფორმულირებულია შემდეგნაირად ,,მაგისტრანტი ფლობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს". ,,ეკონომიკის პრინციპების ყველა ძირითად საკითხში ანალიზისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, დისციპლინის ინტერპრეტაციული მეთოდოლოგიის საფუძველზე" და ა.შ. **ბიზნესის ადმინისტრირებ**ა - აღნიშნული კურსის შინაარსობრივი საკითხები იკვეთება ბაკალავრიატის საფეხურის საგანთან ,,ბიზნესის საფუძვლები". **პროექტებისა და პროგრამების მართვა** - გასაახლებელია ლიტერატურა, არსებობს თემატური გადაკვეთა ბაკალავრიატის საფეხურის საგანთან ,,პროექტების მენეჯმენტი". ასევე, ორივე შემთხვევაში მითითებულია იდენტური ლიტერატურა. **მარკეტინგი კულტურაში და კომუნიკაცია** - აღნიშნულ საგანშიც იგივე ლიტერატურაა მოცემული, რაც უკვე გათვალისწინებულია ბაკალავრიატის საფეხურზე საგანში ,,მარკეტინგის საფუძვლები". სასწვლო კურსი **,,ფინანსური მენეჯმენტი"** იკვეთება საბაკალავრო პროგრამის სასაწვლო კურსთან ,,ფინანსების საფუძვლები", საჭიროა მათი გამიჯვნა. რეკომენდებულია სასწავლო კურსის **,,საგანმანთლებლო კანონმდებლობა"** სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც ,,კულტურის სფეროს და კულტურის ძეგლების სამართლებრივი რეგულირება" მოხდეს მისი შინაარსის მორგება ახალ დასახელებასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი"
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: სტრატეგიული მენეჯმენტი და კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციათა მენეჯმენტი განხორციელდეს სწავლის შედეგების მორგება სასწავლო კურსების შინაარსთან;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების: ბიზნესის ადმინისტრირება, პროექტებისა და პროგრამების მართვა, მარკეტინგი კულტურაში და კომუნიკაცია და ფინანსური მენეჯმენტი

მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი გაიმიჯნოს საბაკალავრო საფეხურის ანალოგიური შინაარსის კურსებისაგან, ასევე განახლდეს მოცემულ კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურით; ▪ რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,საგანმანთლებლო კანონმდებლობა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც ,,კულტურის სფეროს და კულტურის ძეგლების სამართლებრივი რეგულირება“ მოხდეს მისი შინაარსის მორგება ახალ დასახელებასთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეა ორიენტირებული. სასწავლო კურსების აბსოლუტური უმრავლესობა თეორიულ-პრაქტიკული ხასიათისაა.ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტს შესასრულებელი აქვს გარკვეული კვლევითი ხასიათის კომპონენტი (კვლევითი პროექტის/ნაშრომის ამსახველი მასალა), რაც თანდათანობით უვითარებს მას შესაბამის კომპეტენციებს. ეს სამუშაო სრულდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მეთვალყურეობით. სტუდენტების კვლევითი საქმიანობა ხელშეწყობილია ასევე სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციებით. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს რომელიც სხვადასხვა საგნებშია გათვალისწინებული (პროექტებისა და პროგრამების მართვა, კულტურის მენეჯმენტი). პროგრამის მიხედვით IV სემესტრში მაგისტრანტები ამზადებენ საკვალიფიკაციო ნაშრომს, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას და კვლევითი უნარების განვითარებას. როგორც კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ხელს უწყობდა სტუდენტების სხვადასხვა პროექტებში ჩართულობას, როგორიცაა ფესტივალები, გამოფენები, სტაჟირება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში და ა.შ. პრაქტიკული ხასიათის აქტივობები მნიშვნელოვანი წინაპირობაა სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების

განვითარებისათვის. ამასთან, სტუდენტებთან ინტერვიუს მიმდინარეობისას დაფიქსირდა მათი მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნება, დაწესებულებამ უკეთ გამოიყენოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შიდა რესურსი და საშუალება მისცეს პროგრამის სტუდენტებს პრაქტიკული პროფესიული უნარები შეიძინონ უნივერსიტეტის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის პროცესში, (მაგალითად, კინოპროდუქციის პროდიუსინგი, სპექტაკლების, საზეიმო ღონისძიებების მენეჯმენტი და სხვა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის კურსდამთავრებულებთან; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია აქტიურად იყოს გამოყენებული დაწესებულების შიდა რესურსი და გამყარდეს ფაკულტეტებს შორის ინტეგრაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლის სხვადასხვა ფორმა: ლექცია, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: 1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი (დისკუსია/დებატები, როლური და სიტუაციური თამაშები,). 2. წიგნზე მუშაობის მეთოდი. 3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: რიდერებიდან ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება, და ა.შ. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს სახელოვნებო მენეჯმენტის მიმართულებით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს სწავლება/სწავლის მეთოდოლოგიის გამრავალფეროვნება და მისი ადაპტირება სასწავლო კურსებთან. მაგისტრატურის საფეხურზე ეფექტიანია შემდეგი მეთოდები: თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, სწავლა სწავლებით (Learning by teaching), ევრისტიკული მეთოდი და ა.შ. სასწავლო კურსების სილაბუსებში აღწერილი ამ ძირითადი მეთოდების გარდა გამოიყენება სწავლების სხვადასხვა ინდივიდუალური მეთოდი. სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს, კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური პროგრამა, რომელიც მის საჭიროებებზე იქნება მორგებული. ამასთან, რეკომენდებულია სწავლება/სწავლის მეთოდოლოგიის გამრავალფეროვნება და მისი მეტი ადაპტირება სასწავლო კურსებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლება/სწავლის მეთოდოლოგიის გამრავალფეროვნება და მისი მეტი ადაპტირება სასწავლო კურსებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების საკითხების ათვისება როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო კომპონენტში შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით (ცალკეული სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით), რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება. სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:ზეპირი და წერითი დავალებების შეფასების ფორმატს, სემინარზე გამოჩენილი აქტივობის შეფასებას, შუალედურ და ფინალური გამოცდის შეფასებას. წერითი ნაშრომის (მ.შ. სამაგისტრო ნაშრომის), კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, რეგულაციაში „წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტები“- გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით“. სტუდენტის შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით და გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, შეფასების კომპონენტებიც და კრიტერიუმებიც გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის (სასწავლო კურსების სილაბუსები, ვებგვერდზე განთავსებული მარეგულირებელი დოკუმენტაცია.). სტუდენტისათვის უკუკავშირის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია მისი შედეგების და მიღწევების ანალიზი/განხილვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			√	

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

   პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში სტუდენტებისთვის შეთავაზებულია რიგი სერვისებისა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა ინფორმირებას სხვადასხვა მიმართულებებით, თუმცა დაწესებულებაში არსებობს მიმართულებები, რომელიც საჭიროებს დახვეწას ან რიგ შემთხვევებში ახალი სერვისის შექმნას. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის ადმინისტრაცია. პროგრამის სტუდენტებისათვის ცხრილი წინასწარ დგინდება, შესაბამისად სტუდენტები მოკლებული არიან შესაძლებობას თავად დაგეგმონ თავიანთი განრიგი. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის სტუდენტები იღებენ მხარდაჭერას, როგორც პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან, ისე პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან. დაწესებულებას აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული აქვს სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის/კონსულტაციის საათები. სტუდენტები ინფორმირებული არიან მიღებული შეფასებების გასაჩივრების შესაძლებლობაზეც და ხშირად მიმართავენ აღნიშნულს, თუმცა აღნიშნული პროცედურა საჭიროებს დახვეწას/დოკუმენტურად დადასტურებას. სტუდენტთა ინფორმირებისთვის უნივერსიტეტში გამოკრულია სხვადასხვა სახის საინფორმაციო ტექსტები, ფუნქციონირებს დაწესებულების ვებ-გვერდიც. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სისტემაში სტუდენტები ამ ეტაპზე არ იღებენ საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებებს, თუმცა დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, დაგეგმილია სისტემის გაუმჯობესება და ფუნქციონალის გაზრდა. უნივერსიტეტში გამოყენებული არ არის კორპორატიული ელექტრონული ფოსტა. სტუდენტები ინფორმირებული არიან თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათ შორის აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებზე და პლაგიატის აკრძალვაზე. დაწესებულება მასპინძლობს/ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, თუმცა ძირითადად პროგრამისგან განსხვავებული მიმართულებებით, რასაც ადასტურებენ სტუდენტებიც და თვლიან, რომ საჭიროა მეტი ფოკუსირება პროგრამასთან ბმაში მყოფ საკითხებზე.

დაწესებულებაში გასააქტიურებელია კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, ვიზიტის დროისათვის აღნიშნულ ფუნქციას დაწესებულებაში ასრულებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც სტუდენტებისათვის ძირითადად ვაკანსიების გაცნობით შემოიფარგლება. სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა ინტერნაციონალიზაციის კუთხით აქტივობების გაძლიერების საჭიროება, შესაბამისად პროგრამის განვითარების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ გააქტიუროს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. ასევე, გასააქტიურებელია საჯარო ლექციები/ვორქშოპები უცხოელი დარგის ექსპერტების მონაწილეობით. აღნიშნული მდგომარეობა სრულად არის გააზებული და დაწესებულების მიერ და დაგეგმილია მისი გამოსწორება ახლო მომავალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“; ▪ ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ დაწესებულების ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შინაარსთან ბმაში მყოფი დარგის ექსპერტების მოწვევა საჯარო ლექციების ვორქშოპების და ტრენინგების ჩატარების მიზნით; ▪ რეკომენდებულია ინტერაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია გადაიხედოს სტუდენტებთან კომუნიკაციის არხები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შიდა ეფექტური კომუნიკაცია, მათ შორის, დაიხვეწოს დაწესებულების ვებ-გვერდის ინტერფეისი; ▪ სასურველია სტუდენტებმა თავად დაგეგმონ საკუთარი სასწავლო ცხრილი; ▪ სასურველია უნივერსიტეტმა სტუდენტებს შესთავაზოს სტუდენტური პროექტების/იდეების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდება შერჩეული პროექტების დაფინანსება; ▪ სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსადმთავრებულების კარიერული განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების გააქტიურება, თუნდაც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნის მეშვეობით; ▪ სასურველია დაწესებულებამ შექმნას კორპორატიული ელექტრონული ფოსტის ანგარიშები. აღნიშნული გაამარტივებს ელექტრონულ კომუნიკაციას დაწესებულების შიგნით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი, რაც აისახება შესრულებული და დაცული სამაგისტრო ნაშრომების შინაარსობრივ მხარეზე. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო პასუხისმგებელი პლაგიატის აღმოჩენაზე ნაშრომში, თუმცა დაწესებულება უახლოეს მომავალში პრაქტიკაში დანარგვს პლაგიატის აღმომჩენ პროგრამას TurnitIn, რომელიც ამ ფუნქციას ჩამოაშორებს ხელმძღვანელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეფასებისთვის წარმოდგენილ რიგ ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურის ნაწილში მითითებულია არავალიდური წყაროები/ლიტერატურა (მაგ. ვიკიპედია), შესაბამისად რეკომენდებულია იქნეს გაკონტროლებული სამაგისტრო ნაშრომებში მსგავსი ტიპის არავალიდური წყაროების გამოყენების შემთხვევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“;
- ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- სამაგსიტრო ნაშრომები;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მკაცრად იქნეს გაკონტროლებული სამაგისტრო ნაშრომებში ვიკიპედიის წყაროების გამოყენების შემთხვევები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 6 აკადემიური (მათ შორის 4 მენეჯმენტის მიმართულების) და 6 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას

გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ამასთან, რეკომენდებულია დაწესებულებამ გრელვადიან პერიოდში კიდევ უფრო გაზარდოს მენეჯმენტის მიმართულების აფილირებული პერსონალის რაოდენობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“; ▪ პერსონალის პირადი საქმეები; ▪ სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულება; ▪ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია დაწესებულებამ გრელვადიან პერიოდში კიდევ უფრო გაზარდოს მენეჯმენტის მიმართულების აფილირებული პერსონალის რაოდენობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ

განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეცნიერო კონფერენციებში. უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო კონფერენცია, აღნიშნულ კონფერენციაზე გამოქვეყნებული ნაშრომები იბეჭდება სამეცნიერო ჟურნალში ,,სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი", რომელსაც ბეჭდავს უნივერსიტეტის გამომცემლობა ,,კენტავრი". მიუხედავად აღნიშნული აქტივობებისა, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის კუთხით მიზანშეწონილია პროფესორების მობილობაში მონაწილეობა, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ახალი ცოდნის ტრანსფერს, ასევე პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს როგორც აფილირებული, ასევე მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მონიტორინგს. რაც დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ კვლევებით და ანგარიშებით. ამასთან, რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის პროცესების გააქტიურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი"; ▪ პერსონალის პირადი საქმეები; ▪ ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის პროცესების გააქტიურება;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით და ინფრასტრუქტურით. უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ამავე კორპუსებში განლაგებულია სასწავლო აუდიტორიები, ვიდეოთეკა, დარბაზები. უნივერსიტეტის მეორე კორპუსი ინფრასტრუქტრის კეთილმოწყობის კუთხით საჭიროებს განახლებას. ასევე, სასურველია ბიბლიოთეკა განახლდეს მენეჯმენტის მიმართულების ინგლისურენოვანი ლიტერატურით. მთლიანობაში უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობისა და წიგნადი ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობა; ▪ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები სტუდენტებთან; ▪ ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველო შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს ბიუჯეტი განსაზღვრული აქვს სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მასშტაბით. მთლიანობაში ფაკულტეტის ბიუჯეტი 735973 ლარია. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ის ფინანსური კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ფინანსური სტაბილურობის წინაპირობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საქართველო შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ბიუჯეტი; ▪ ინტერვიუები ადმინისტრაციულ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის შეფასებისა და განვითარების წესი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის შეფასებას, მათ შორის შეიმუშავებს სახელმძღვანელოებს პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ფარგლებში სილაბუსების შესაბამისობა პროგრამის ძირითად მიზნებთან. მეორე მხრივ, პროგრამის აკადემიური პერსონალი, მიუხედავად ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და ვორქშოპებისა, მეტნაკლებად იცნობს საგნის სილაბუსის შედგენისათვის საჭირო ინსტრუმენტებს, ხშირია კურსების სილაბუსებში უზუსტობები (შეფასების კომპონენტებში, მეთოდებში, კურსის ფარგლებში მისაღწევი შედეგები და კურსის შინაარს არ ემთხვევა ერთმანეთს და ა.შ.). ხშირია ხარისხის სამსახურის მიერ მომზადებული ინსტრუქციებიდან ინფორმაციის პირდაპირი კოპირება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში სილაბუსს ბუნდოვანს ხდის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“; ▪ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა შიდა ხარისხის დოკუმენტებისა და შეფასების მექანიზმების შემუშავებაში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪ დეტალურად არის გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელიც მთლიან ჩარჩოს/საზღვრებს აწესებს პროგრამისა და კონკრეტულად სილაბუსის დაგეგმვის პროცესში აკადემიური პერსონალისთვის (ე.გ. Manual). გარდა ამისა, მსგავსი დოკუმენტის არსებობა ხელს შეუწყობს ახალი აკადემიური პერსონალის ეფექტურ მუშაობას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება პროგრამის განვითარებისათვის იყენებს გარე შეფასების შედეგებს. პროგრამა განიცდის ცვლილებებს, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად პროგრამის შინაარსობრივ გაძლიერებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“; ▪ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს პროგრამას. ამავე სამსახურის ორგანიზებით ტარდება აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვაც და შემდგომში შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. შეფასების შედეგები გამოყენებულია პროგრამის გასაუმჯობესებლად და მსგავსი პრაქტიკა დაწესებულებას გააჩნია (პრაქტიკის კომპონენტის დამატება).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“; ▪ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს გამოკითხვის შედეგების და რეკომენდაციების პერმანენტულად გაცნობა გამოკითხვაში მონაწილე ჯგუფებისათვის, რათა შემდგომში გაიზარდოს მათი ჩართულობა ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგმილ შეფასების მექანიზმებში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ხელოვნების მენეჯმენტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 29

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			√	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ნინო ღაღანიძე

მერაბი ხოხობაია

დავით ცირამუა